ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N32

28.12.2023 წელი
12:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 28 დეკემბერს, 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ირაკლი ხელაძე** (კომისიის წევრი), **მარიამ ზაქარიაშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი **ვახტანგ ლომჯარია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **მარიამ კვერნაძე,** საკრებულოს წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032335566-03, 21.12.2023წ.).* **მომხსენებელი - ვახტანგ ლომჯარია,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი.
2. **„ქ. თბილისში, ქუჩა ჩოლოყაშვილის N7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ:204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032335591-03, 21.12.2023წ.).* **მომხსენებელი - მარიამ კვერნაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სხდომა წარიმართა **ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ, დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ვახტანგ ლომჯარია - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქონების გადასახადზე შეღავათის საკითხს, აღნიშნული რეალურად გახლავთ უკვე არსებული შეღავათისთვის ვადის გახანგრძლივება 2025 წლის პირველ იანვრამდე, რომელიც წლებია მოქმედებს სპორტისა და ტრანსპორტის სფეროში. აღნიშნული სფეროს წარმომადგენლებისთვის საბალანსო ქონების გადასახადი საკმაოდ მაღალია და საჭიროებს სახელმწიფო სუბსიდირებას აღნიშნული სფეროს დაბალი მოგების (შემოსავალი) გამო. საუბარია ქონების გადასახადის წლიური განაკვეთის 0,001%-ზე, რომელიც ახლაც მოქმედებს, აღნიშნული პროექტით ხდება უკვე დადგენილი შეღავათიანი განაკვეთის მოქმედების ვადის გაგრძელება.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ირაკლი ხელაძე, მარიამ ზაქარიაშვილი - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-90

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემის თაობაზე განკარგულების პროექტის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილია ა(ა)იპ ძალოსნობის ფედერაციისთვის ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე 277.05 კვ.მ. ფართის (ს/კ: 01.17.14.003.627.01.502) გადაცემის საკითხი. მიზნობრიობა გახლავთ ძალოსნობის სპორტული ობიექტის მოწყობა, მინიმალური ინვესტიციის განხორციელების ოდენობა გახლავთ 100,0 (ასი ათასი) ლარი, რომელიც სამი წლის ვადაში მიმართული იქნება სპორტული ობიექტის ფუნქციონირებისთვის, საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფისთვის და ქონების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის. უზუფრუქტის ვადა გახლავთ 50 წელი, ასევე ისნის რაიონის გამგეობის მიერ ხორციელდება აღნიშნული ფართის ისეთი სარემონტო სამუშაოები, რომელიც შესაძლებელს გახდის ზოგადად აღნიშნული შენობის ექსპლუატირებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისში, ქუჩა ჩოლოყაშვილის N7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ:204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ირაკლი ხელაძე, მარიამ ზაქარიაშვილი (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი - (1).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა

„ქ. თბილისში, ქუჩა ჩოლოყაშვილის N7/1-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.627.01.502) პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ:204892777) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე